ADHD-ის სიმპტომები და ფსიქოლოგიური კეთილდღეობის ხარისხი სტუდენტებში

მარიამ ჯახველაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნატა მეფარიშვილი, ასოცირებული-პროფესორი, მეცნიერებათა დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ, ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენებული, ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარიამ ჯახველაძე, 30 ივნისი, 2017 წ.

აბსტრაქტი

კვლევა მიზნად ისახავდა დაედგინა ADHD-ის სიმპტომები ზრდასრულებში, ახდენს თუ არა გავლენას მათ ფსიქოლოგიურ კეთილდღეობაზე და ფუნქციონირების ზოგად დონეზე. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 208 სტუდენტმა, რომელთა საშუალო ასაკი 23 წელი იყო. კვლევაში გამოყენებული იყო სამი კითხვარი: ფსიქოლოგიური კეთილდღეობის ხარისხის შესაფასებლად Scales of Psychological Well-Being, Carol Ryff, 1995, University of Wisconsin, range1-6 - რიფის ფსიქოლოგიური კეთილდღეობის კითხვარი, ADHD-ის სიმპტომების იდენტიფიცირებისათვის და ზოგადი ფუნქციონირების გასაზომად - Adult ADHD Self-Report Scale (ASRS-v1.1) - მოზრდილთა ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის თვითანგარიშის ფორმა და ასევე ADHD-ის მახასიათებლების გამოსავლენად The Reasoning and Rehabilitation (R&R) S ADHD Training Evaluation (RATE).

ანალიზის შედეგად გამოჩნდა, რომ ფსიქოლოგიური კეთილდღეობის მაჩვენებელი, მის ყველა განზომილებაზე: ავტონომია, თვითაღქმა, გარემოს მართვა, პოზიტიური ურთიერთობები სხვებთან, ცხოვრებისეული მიზნები, პიროვნული ზრდა, შემცირებულია ADHD-ის მქონე მოზარდთა პოპულაციაში, ორივე სქესს შორის (n=143). ასევე, გაუარესებულია მათი ზოგადი ფუნქციონირების დონე, რაც გულისხმობს ცუდ ემოციურ კონტროლს, სოციალური ფუნქციონირების დაბალ მაჩვენებელს და ანტისოციალურ ქცევას.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ყურადღების დეფიციტი და ჰიპერაქტივობის სინდრომი-ADHD, ფსიქოლოგიური კეთილდღეობა, სუბიექტური კეთილდღეობა, ზოგადი ფუნქციონირება, ADHD-ის სიმპტომები.